საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 246

16/08/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯგომარის 2016 წლის 16 აგვისტოს #50/245 ბრძანებაში“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯგომარის 2016 წლის 16 აგვისტოს #50/245 ბრძანებაში“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“.**

2.გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად №1 დანართის შესაბამისად.

3. ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად №1 დანართში მითითებულ საჯარო მოხელის საერთო და დამატებითი საკველიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 15 აგვისტოს #50/244 ბრძანებით დამტკიცებული დანართით.

4. ტესტირებისას მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 21 იანვრის #50/20 ბრძანების შესაბამისად.

5. თანამდებობრივი ინსტრუქციები „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 21 იანვრის №50/19 ბრძანებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად.

6. ვაკანტური თანამდებობის თაობაზე განაცხადის მომზადება და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკონკურსო საატესტაციო კომისიამ.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე